დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანება N75, 08.07.2021წ.
ცვლ: ბრძანება N780765, 30.06.2025წ.
ცვლ: ბრძანება N257313, 04.03.2026წ.

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების შესაბამისად და განსაზღვრავს სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესსა და პირობებს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის ვადებს, შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმებს, შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს, შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს, აპელაციის წესსა და ვადებს, საჭიროების შემთხვევაში აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და კოლეჯის მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.
2. აღნიშნული წესის მიზანია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებული, ობიექტური და გამჭვირვალე მიდგომით, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. **კოლეჯი** - სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“.
2. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** - (შემდგომში პროგრამა) სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა.
3. **პროფესიული სტუდენტი** – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე ან იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით.
4. **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი** – (შემდგომში სსსმ პროფესიული სტუდენტი) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირი, აგრეთვე პირი, რომელსაც გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ან/და შეზღუდული შესაძლებლობა და რომელიც საჭიროებს სასწავლო პროცესის ადაპტაციას, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის მოდიფიკაციას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლას ან/და დამატებით სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას.
5. **დუალური სწავლება -** დუალური სწავლება გულისხმობს დაწესებულებისა და სუბიექტის (რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოპოვებული აქვს სასწავლო საწარმოს სტატუსი) მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების 50%-ზე მეტის შესაბამისი სწავლის შედეგები მიიღწევა სასწავლო საწარმოში.

5[1]. კოოპერაციული სწავლება - კოოპერაციული სწავლება გულისხმობს დაწესებულებისა და სუბიექტის (მეწარმე სუბიექტი/იურიდიულ პირი ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირი) მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც შესაბამისი პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50%-ის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა ხდება რეალურ სამუშაო გარემოში.

5[2]. იმიტირებული სამუშაო გარემო - პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების იმიტირებულ სამუშაო გარემოში მიღწევა, რომელიც ხორციელდება დაწესებულებაში.

6. **საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები** - ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის მოთხოვნების ასახვა პროგრამის იმ კომპონენტებში, რომლებიც ორიენტირებულია საკვანძო კომპეტენციების ან/და ტრანსფერული უნარების გამომუშავებასა და განვითარებაზე.
7. **შერჩევა** - პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასება.
8. **რეიტინგული ქულა** - აპლიკანტის მიერ შეფასების შედეგად მიღებული ქულა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი.

მუხლი 3. აპლიკანტთა შერჩევა

1. აპლიკანტთა შერჩევა მოიცავს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტთა შეფასების პროცესს.
2. შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით.

მუხლი 4. შერჩევასა და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში მონაწილეობის უფლება

1. კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შერჩევაში მონაწილეობის უფლება აქვს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში რეგისტრირებულ აპლიკანტს, რომელიც ფლობს საბაზო/სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტს და აკმაყოფილებს პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ დაშვების წინაპირობას.
2. სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში (შემდგომში „ტესტირება“) მონაწილეობის უფლება აქვს იმ აპლიკანტს, რომელმაც მინისტრის მიერ განსაზღვრულ საშუალო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით რეგისტრაციისას აირჩია ერთი ან რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, გარდა იმ აპლიკანტებისა, რომელთაც რეგისტრაციისას ქართული ენის გარდა მითითებული აქვთ სხვა ენა.
3. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად, აუცილებელია ტესტირების გავლა აკადემიური უნარებში.
4. მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ საშუალო პროფესიულ პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად, შესაძლებელია დაწესებულების მიერ მოთხოვნილი იყოს ტესტირების გავლა აკადემიურ უნარებში.
5. სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული დეტალური სფეროს შესაბამისად, აკადემიური უნარების ტესტირება შეიძლება დაწესდეს წიგნიერებასა და რაოდენობრივ წიგნიერებაში.

მუხლი 5. შერჩევა საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

1. თითოეულ საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (მათ შორის, დუალური და ინტეგრირებული მიდგომით განხორციელებულ პროგრამებზე), აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში, რომლის შესახებ ინფორმაცია აისახება სარეგისტრაციო სისტემაში.
2. შერჩევა საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს შესაძლოა ითვალისწინებდეს მხოლოდ მოტივაციურ გასაუბრებას, სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომ – ცენტრი) მიერ ორგანიზებულ ტესტირებას (შემდგომში - ტესტირება), ან ტესტირებასა და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ალტერნატიულ შეფასების მეთოდს.

3. იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებზეც აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, ტესტირების მაქსიმალური ქულა განისაზღვრება 50 ქულით, ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

3[1]. საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, გარდა ინტეგრირებული მიდგომით განხორციელებული პროგრამებისა, შეფასების მეთოდად ტესტირება (შიდა ტესტირება/ტესტირება საბაზო ზოგად უნარებში) შესაძლებელია გამოყენებულ იქნას რეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობიდან გამომდინარე. ე.წ. ორეტაპიანი შერჩევის დროს, აპლიკანტები გაივლიან კოლეჯის მიერ ორგანიზებულ ტესტირებას საბაზო ზოგად უნარებში/შიდა ტესტირებას და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში, მონაწილებას მიიღებენ შერჩევის მეორე ეტაპზე, გარდა წინამდებარე მუხლის 24-ე პუნქტით განსაზღვრული გარემოებისა.

4. შერჩევის კომისიის სამდივნო შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირებას უზრუნველყოფს კოლეჯის ოფიციალური ელექტრონული ფოსტისა და ცხელი ხაზის მეშვეობით, აპლიკანტების მიერ რეგისტრაციის დროს მითითებულ ელექტრონული ფოსტაზე ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე. ასევე, შეფასების თარიღის შესახებ ინფორმაციის განთავსებას კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე, შეფასებამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.

5. შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე, გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

5[1]. ის აპლიკანტები, რომლებსაც რეგისტრაციისას მითითებული აქვთ სხვა ენა, არ მონაწილეობენ კოლეჯის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში (საბაზო ზოგად უნარებში) და მათთვის კოლეჯი განსაზღვრავს შეფასების ალტერნატიულ მეთოდს.

5[2]. ის აპლიკანტები, რომლებსაც რეგისტრაციისას მითითებული აქვთ სხვა ენა, მონაწილეობენ კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შიდა ტესტირებაში. კოლეჯი უზრუნველყოფს ტესტის შეთავაზებას რეგისტრაციის დროს მითითებულ შესაბამის ენაზე.

6. შერჩევა შესაძლებელია განახორციელდეს ასევე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე. კოლეჯი ვალდებულია ამ გზით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამაზე სწავლება დაიწყოს ქართული ენის მოდულით. ქართული ენის მოდულის დაუძლევლობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და უფლებამოსილია:

ა) სწავლა განაგრძოს იმავე პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი განცხადების საფუძველზე, შემდგომი მიღების ფარგლებში ამ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესისა“ და კოლეჯის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობით;

გ) შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.

6[1]. კოლეჯი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესით ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე სწავლა დააწყებინოს ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე, იმ შემთხვევაში თუ პროგრამით (რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება) გათვალისწინებული მოდულით/მოდულებით დადგენილი ენობრივი კომპეტენცია დადასტურდება მის მიერ, კოლეჯის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით.

7. საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შეფასების მეთოდი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით. შეფასების მეთოდად შესაძლოა გამოყენებულ იქნას მოტივაციური გასაუბრება, შემოქმედებითი ტური, ხოლო პირველადი შერჩევის მეთოდად - შიდა ტესტირება ან ტესტირება საბაზო ზოგად უნარებში, რომელიც თავის მხრივ გამოავლენს აპლიკანტთა მოტივაციას და დაინტერესებას შერჩეული პროფესიისადმი.

7[1]. ფორსმაჟორული და ობიექტური გარემოებებისა და რეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობიდან გამომდინარე კოლეჯი იღებს გადაწყვეტილებას შერჩევის მეთოდის შესაბამის ფორმატსა (პირისპირ/დისტანციურად) და შერჩევის დამატებით ვადასთან დაკავშირებით.

8. ზოგიერთ საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, გარდა ინტეგრირებული მიდგომით განხორციელებული პროგრამებისა, ე.წ. ორეტაპიანი შერჩევის დროს, აპლიკანტები გაივლიან კოლეჯის მიერ ორგანიზებულ ტესტირებას (შიდა ტესტირება/ტესტირება საბაზო ზოგად უნარებში) და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში, მონაწილებას მიიღებენ შერჩევის მეორე ეტაპზე.

8[1]. იმ შემთხვევში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს კოლეჯის მიერ განსაზღვრულ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებზეც შერჩევის ერთ-ერთ მეთოდად განსაზღვრულია კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტესტირება (შიდა ტესტირება/ტესტირება საბაზო ზოგად უნარებში) დაკარგავს ჩარიცხვის უფლებას.

9. მოტივაციური გასაუბრების, შემოქმედებითი ტურის, შიდა ტესტირებისა და საბაზო ზოგადი უნარების ტესტირების შესასრულებელი დავალების შეფასების კრიტერიუმები, მოტივაციური გასაუბრების, შემოქმედებითი ტურის, შიდა ტესტირებისა და საბაზო ზოგადი უნარების ტესტირების მინიმალური კომპეტენციის ზღვრები მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

10. კოლეჯი უზრუნველყოფს დიფერენცირებულ შეფასებას და მინიმალური კომპეტენციის ზღვრის დადგენას შერჩევის ეტაპის დაწყებამდე.

11. კოლეჯი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ განსაზღვრულ შერჩევის პერიოდში სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.

12. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს მის რეიტინგულ ქულას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აპლიკანტი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულია, როგორც საარსებო შემწეობის მიმღები პირი. აღნიშნულ შემთხვევაში მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.

13. ამოღებულია.

14. ამოღებულია.

15. ამოღებულია.

16. თუ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით (მიუხედავად განათლების მიღწეული დონისა), რომელთა რეიტინგული ქულა უტოლდება ან აღემატება კოლეჯის მიერ პროგრამისთვის დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

17. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

18. მართვის სისტემა, რეიტინგულ სიას ადგენს, აპლიკანტის შეფასების შედეგების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

18[1]. კოლეჯი დუალური მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, რეიტინგულ სიას ადგენს აპლიკანტის შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ინფორმაციას ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში.

19. მართვის სისტემა, უზრუნველყოფს დაწესებულებისთვის აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო აპლიკანტთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას რეიტინგში მისი ადგილის შესახებ რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით, 3 სამუშაო დღის ვადაში.

20. საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შერჩევას უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი შესაბამისი კომისია, რომლის შემადგენლობაც დაკომპლექტებულ იქნება როგორც კოლეჯის, ასევე პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან.

21. კოლეჯი უფლებამოსილია საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (მათ შორის, ინტეგრირებული მიდგომით განხორციელებულ პროგრამებზე) რეგისტრირებული კონკრეტული აპლიკანტისათვის განსაზღვროს მოტივაციური გასაუბრების, შემოქმედებითი

ტურის, შიდა ტესტირების ან საბაზო ზოგადი უნარების ტესტირების განსხვავებული თარიღი შერჩევის დროების დამთხვევისას ან პირის მიერ საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისას (იმყოფებოდა: „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ტერიტორიებზე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება და სხვ.) შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის/კოლეჯის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე profgldaniedu@gmail.com გადმოგზავნის შემთხვევაში, შერჩევის ფორმატის გათვალისწინებით, მაგრამ არაუგვიანეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ განსაზღვრული შერჩევის პერიოდისა.

22. იმ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტი, რომელზეც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირება და კოლეჯის მიერ დაგეგმილი მოტივაციური გასაუბრება, თუმცა ვერ გამოცხადდა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ტერიტორიებზე ყოფნის გამო და მინისტრის მიერ განსაზღვრულ საგამონაკლისო გარემოებებიდან გამომდინარე გათავისუფლებულია ტესტირებიდან, ვალდებულია გამოცხადდეს კოლეჯის მიერ ორგანიზებულ მოტივაციურ გასაუბრებაზე.

23. ამოღებულ იქნას.

24. იმ საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებული აპლიკანტი, რომლებზეც რეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობიდან გამომდინარე განსაზღვრულია კოლეჯის მიერ ორგანიზებული ტესტირება (შიდა ტესტირება/ტესტირება საბაზო ზოგად უნარებში) და არ გამოცხადდება შემდეგი საგამონაკლისო გარემოებების (იმყოფება: „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ტერიტორიებზე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების და სხვ.) გამო, ვალდებულია გამოცხადდეს კოლეჯის მიერ ორგანიზებულ მოტივაციურ გასაუბრებაზე/შემოქმედებით ტურზე.

მუხლი 6. ჩარიცხვა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

1. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ ორგანიზებული ტესტირებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ადგენს ცენტრის დირექტორი.
3. იმ შემთხვევში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ცენტრის მიერ გათვალისწინებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარს დაკარგავს ჩარიცხვის უფლებას.
4. აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს მის რეიტინგულ ქულას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აპლიკანტი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულია, როგორც საარსებო შემწეობის მიმღები პირი. აღნიშნულ შემთხვევაში მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.
5. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აპლიკანტის რეიტინგული ქულა დგინდება ჩარიცხვის წლის ტესტირების შედეგის საფუძველზე.
6. ამოღებულია.

6[1]. დაწესებულება უფლებამოსილია საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, რეიტინგული სიის გათვალისწინებით დარჩენილი თავისუფალი ადგილების რაოდენობა გამოიყენოს მეორე სასწავლო გეგმით განხორციელებულ პროგრამაზე (რომელიც არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს) აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, ავტორიზაციის საბჭოს მიერ ამ პროგრამაზე შესაბამისი სასწავლო გეგმისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

7. თუ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით, რომელთაც გადალახული აქვთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
8. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

8[1]. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები გამოიყენება მეორე რეიტინგულ სიაში მყოფ აპლიკანტთა ჩარიცხვისთვის.

9. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლების მოსაპოვებლად, აუცილებელია ტესტირების გავლა აკადემიური უნარებში.

მუხლი 6[1]. 2026 წელს პროფესიულ სტუდენტთა მიღება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შესაბამის საგანში აბიტურიენტის მიერ მიღებული შეფასების საფუძველზე

1. 2026 წელს უმაღლეს და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა მიღება შესაძლებელია განხორციელდეს აგრეთვე ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შესაბამის საგანში აბიტურიენტის მიერ მიღებული შეფასების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ (შემდგომში – დებულება) შესაბამისად, გარდა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში და იმ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, აბიტურიენტად მიიჩნევა პირი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად დარეგისტრირდება ერთიან ეროვნულ გამოცდაზე (ერთიან ეროვნულ გამოცდაში მონაწილეობის უფლება აქვს ამ დებულებით დადგენილი წესით ერთიან ეროვნულ გამოცდაზე დარეგისტრირებულ პირს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული ან მასთან გათანაბრებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი) და რეგისტრაციისას აირჩევს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამას.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის ჩასაბარებელი საგანი/საგნების ნუსხა შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციების მიხედვით, მტკიცდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. აბიტურიენტის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროგრამისთვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ორი ან რამდენიმე საგნის გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, შესაბამის პროგრამაზე მისი ჩარიცხვის საკითხის გადაწყვეტისთვის რანჟირების დროს გათვალისწინებული იქნება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით გათვალიწინებული პრინციპი, კერძოდ: თუ აბიტურიენტს ჩაბარებული აქვს კონკრეტული აკადემიური პროგრამისთვის დაწესებული ორი ან რამდენიმე დამატებითი საგნის გამოცდა, შესაბამის აკადემიურ პროგრამაზე მისი ჩარიცხვის საკითხის გადაწყვეტისთვის კოეფიციენტებით რანჟირების დროს გათვალისწინებული იქნება აბიტურიენტის მიერ დამატებითი საგნის გამოცდებში მიღებული უმაღლესი სკალირებული ქულა. თუ ამ ქულით აბიტურიენტმა ვერ მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება, კოეფიციენტებით რანჟირების დროს გათვალისწინებული იქნება აბიტურიენტის მიერ სხვა დამატებითი საგნის გამოცდაში/გამოცდებში მიღებული შემდგომი უმაღლესი სკალირებული ქულა. თუ ამ დამატებითი საგნის გამოცდებში მიღებული უმაღლესი სკალირებული ქულები იდენტურია, კოეფიციენტებით რანჟირების დროს პირველ რიგში გათვალისწინებული იქნება იმ საგნის გამოცდის უმაღლესი სკალირებული ქულა, რომლისთვისაც დადგენილია მისაღები ადგილების მეტი რაოდენობა, ხოლო შემდგომ იმ საგნის გამოცდის უმაღლესი სკალირებული ქულა, რომლისთვისაც დადგენილია მისაღები ადგილების ნაკლები რაოდენობა. იდენტური ადგილების რაოდენობის შემთხვევაში, კოეფიციენტებით რანჟირების დროს გათვალისწინებული იქნება დამატებითი საგნის გამოცდის უმაღლესი სკალირებული ქულა.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საგანში აბიტურიენტის მიერ გადასალახი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით შესაბამისი საგნისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ნახევარზე მეტს.
6. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია რამდენიმე ჩასაბარებელი საგანი, დაწესებულების მიერ გამოცხადებული ადგილების რაოდენობა ნაწილდება ჩასაბარებელი საგნების რაოდენობის პროპორციულად. პროპორციული განაწილების ზუსტად განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საგანთა ჩამონათვალში მითითებულ პირველ საგანს.
7. საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ აბიტურიენტი ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დაწესებულებაში წარადგენს, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში ამ წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შესაბამის დოკუმენტებს.
8. აბიტურიენტის მიერ წერილობით ნების გამოხატვისა და რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე, დაწესებულების მიერ დადგენილ ვადებში კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აბიტურიენტის ჩარიცხვასთან დაკავშირებით.
9. თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი, აბიტურიენტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შესაბამის საგანში მიღებული შეფასების საფუძველზე ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მინიჭებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებისას გამოიყენება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებით გათვალისწინებული ნორმები.
10. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვა ამავე პუნქტით გათვალისწინებულ პროგრამაზე ხორციელდება ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 7. ჩარიცხვის პირობები

1. ჩარიცხვა ხორციელდება პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.
2. ამოღებულია.
3. აპლიკანტი, რომელსაც რეგისტრაციისას არჩეული აქვს რამდენიმე პროგრამა, უფლებამოსილია ჩაირიცხოს მხოლოდ ერთ პროგრამაზე.
3^1. თუ აპლიკანტს რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული, ამ წესის მე-5 მუხლის მე-19 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის აპლიკანტისთვის ხელმისაწვდომობის შემდეგ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და დაწესებულებაში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ დოკუმენტებს.
4. რეიტინგულ სიაში, აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი აპლიკანტი:
ა) ამ მუხლის პირველი პუნქტით გაწერილი წესის საფუძველზე კოლეჯის მიერ აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;
ბ) აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში.
5. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, დაწესებულებას შესაბამის პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად.
6. თუ ამ მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს პროგრამისთვის შესაბამის მიღებაზე განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული ადგილების რაოდენობა მოაკლდება ამავე პროგრამაზე მომდევნო მიღებისთვის განსაზღვრულ ადგილებს.
7. ამოღებულია.
8. ამოღებულია.
9. ამოღებულია.
10. ამოღებულია.
11. ამოღებულია.
11^1. ამოღებულია.
12. ამოღებულია.

მუხლი 8. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება შესაძლოა მიენიჭოთ:
ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;
ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) საქართველოს მოქალაქეებს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20^{13} მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.
დ) თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლების მინიჭების მიზნით, რეგისტრაციის დროს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირი ვალდებულია სისტემაში ატვირთოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.
4. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და სრულდება დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების (არსებობის შემთხვევაში) ეტაპამდე.

მუხლი 9. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები

1. კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიურ პროფესიული განათლებას, რაც გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.

2. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის, რომელსაც გამოხატული აქვთ სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ან/და შეზღუდული შესაძლებლობა და საჭიროებენ სასწავლო პროცესის ადაპტაციას, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის მოდიფიკაციას, კოლეჯი უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლას ან/და დამატებით სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას.

3. პროგრამაზე მისაღები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა რაოდენობას დაწესებულება ასახავს ანკეტა-კითხვარში, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში, გარდა დუალური მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა.

4. თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ აპლიკანტთა შერჩევა (პრაქტიკული მოსინჯვა) ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში, რომლის შესახებ ინფორმაცია აისახება სარეგისტრაციო სისტემაში.

4[1]. დუალური მიდგომით განხორციელებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი შერჩევას გადის ამ წესის მე-5 მუხლით განსაზღვრული პროცედურების გათვალისწინებით.

5. შერჩევის კომისიის სამდივნო შეფასების თარიღების შესახებ სსსმ აპლიკანტთა ინფორმირებას უზრუნველყოფს კოლეჯის ოფიციალური ელექტრონული ფოსტისა და ცხელი ხაზის მეშვეობით, აპლიკანტის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ რეგიტრაციის დროს მითითებულ ელექტრონული ფოსტაზე ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე. ასევე, შეფასების თარიღის შესახებ ინფორმაციის განთავსებას კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე, შეფასებამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.

6. საბაზო, საშუალო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შეფასების მეთოდად გამოყენებულ იქნება პრაქტიკული მოსინჯვა, რაც გულისხმობს პირის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობის/აქტივობების პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებში უკეთ გარკვევას, დამკვირვებლების მიერ კონკრეტულ პროფესიასთან/პროგრამასთან მიმართებით პირის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას.

7. კოლეჯი უფლებამოსილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების პრაქტიკული მოსინჯვის ვადების განსაზღვრისას გაითვალისწინოს რეგისტრაციის დასრულებამდე პერიოდიც, იმ დათქმით, რომ ყველა აპლიკანტს ექნება პრაქტიკული მოსინჯვის გავლის შესაძლებლობა.

8. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროგრამისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებულ ადგილების რაოდენობას, ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს. ამასთან, შესაძლოა შერჩევის კომისიის მიერ რეკომენდაციის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნას სოციალური სტატუსი (რომელიმე მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელი (მაგ. სოციალურად დაუცველი ოჯახიდან, მინდობით აღზრდაში მყოფი/მცირე საოჯახო ტიპის დაწესებულებიდან/სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ან სახელმწიფო ზრუნვიდან გასული, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი), არ არის ჩართული განათლების სხვა საფეხურზე და სხვა. იმ შემთხვევაში თუ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს ორი ან მეტი აპლიკანტი, მათ შორის პრიორიტეტი მიენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე იმ აპლიკანტს, რომელიც უფრო ადრე გაივლის რეგისტრაციას (თვე, რიცხვი, საათი, წუთი, წამი) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

9. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, კოლეჯი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, მონაცემებს ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში და უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტის ინფორმირებას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ განსაზღვრულ შერჩევის პერიოდში.

10. ამოღებულია.

11. ამოღებულია.

12. კოლეჯი დირექტორის ბრძანებით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებს შესაბამის პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას ამ აპლიკანტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან. ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შესახებ მონაცემებს სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

13. პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების მიზნით შეფასება არ ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ უკვე არსებობს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნა, რომლის მომზადებიდან არ გასულა 3 წელი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აპლიკანტი/აპლიკანტის კანონიერი წარმომადგენელი ითხოვს განმეორებით შეფასებას ან მულტიდისციპლინური გუნდი საჭიროდ მიიჩნევს განმეორებით შეფასებას. თუ ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში არ ხდება აპლიკანტის განმეორებითი შეფასება, გამოყენებულ უნდა იქნას მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებისთვის განსაზღვრული წესით შედგენილი ბოლო დასკვნა.

მუხლი 10. აპლიკანტის მიერ ჩასარიცხად ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხისა და წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ

1. კოლეჯი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის წარდგენის ვადებს.

2. აპლიკანტი ვალდებულია კოლეჯში ჩასარიცხად წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) აპლიკანტის, შეზღუდულ ქმედუნარიანი/ მხარდაჭერის მიმღები აპლიკანტის შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) აპლიკანტის, შეზღუდულ ქმედუნარიანი/ მხარდაჭერის მიმღები აპლიკანტის შემთხვევაში, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი;

დ) 2 ცალი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3x4-ზე;

ე) საბაზო საფეხურის/ სრული ზოგადი/უმაღლესი/პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან/და ასლი, ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედანი ან/და ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა საბაზო საფეხურის ზოგადი განათლების ან/და სრული ზოგადი განათლების დაძლევის გარეშე, თუ სრული ზოგადი განათლება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს;

ვ) უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;

ზ) კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა;

ი) წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. კოლეჯი უფლებამოსილია აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში - მართვის სისტემა) მიერ.

4. ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას მატერიალური სახით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აპლიკანტი/კანონიერი წარმომადგენილი ობიექტური მიზეზის გამო (კოვიდ პანდემიის, ჯანმრთელობის მდგომარეობის და სხვა ფორსმაჟორული მდგომარეობის გამო) ვერ ახერხებს ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის მატერიალურად წარმოდგენას. ჩასარიცხად გაწერილი დოკუმენტაცია ელექტრონული სახით გადმოგზავნილ უნდა იქნას კოლეჯის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე-profgldaniedu@gmail.com.

5. პირი ვალდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტის ე) და ვ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოადგინოს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვიდან 3 თვის ვადაში. „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში პირი თავისუფლდება აღნიშნული დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებისგან, თუ მის მიერ ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა დასტურდება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

6. კოლეჯის მიერ ჩასარიცხად გაწერილი დოკუმენტების კოლეჯის დირექტორის მიერ განსაზღვრულ ვადებში წარუდგენლობა ან არასრულყოფილად წარდგენა გახდება აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.

6[1]. 17 წელს მიღწეული პირის (გარდა იმ პირისა, რომელიც წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება) მიერ წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის შემთხვევაში, იგი არ ჩაირიცხება საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

7. აპლიკანტთა კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს განიხილავს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი შესაბამისი კომისია.

8. კოლეჯი, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს აპლიკანტებს შესაბამის პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას ამ აპლიკანტთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან.

მუხლი 11. შესარჩევი კომისისიის და შესარჩევი კომისიის სამდივნოს ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესი

1. შესარჩევ კომისიას იწვევს შესარჩევი კომისიის სამდივნო.

2. კომისის მუშაობის ორგანიზაციულ-ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს შესარჩევი კომისიის სამდივნო, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. შესარჩევი კომისიის სამდივნოს ფუნქციებია:

ა) შესარჩევი კომისიის სხდომის დღის წესრიგისა და თარიღის შეთანხმება;

ბ) კოლეჯისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლების შერჩევის ეტაპზე მოწვევის ორგანიზება;

გ) შერჩევის კომისიისათვის რეგისტრირებულ აპლიკანტთა სიების მიწოდების უზრუნველყოფა;

დ) მოტივაციური გასაუბრების/შემოქმედებითი ტურის/შიდა ტესტირების/საბაზო ზოგადი უნარების ტესტირების გრაფიკის შედგენა.

ე) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირება;

ვ) შესარჩევი კომისიის სხდომის ოქმის შედგენა.

4. შესარჩევი კომისიის შემადგენლობაში შედიან როგორც კოლეჯის, ასევე პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

5. შესარჩევ კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.

6. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება აღნიშნული კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

7. შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე წევრები. შესარჩევი კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

8. აპლიკანტთა მოტივაციური გასაუბრება, შემოქმედებითი ტური, შიდა ტესტირება/ტესტირება საბაზო ზოგად უნარებში ხორციელდება წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე.

9. კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია შესარჩევი კომისიის თავმჯდომარის ხმა.

10. შესარჩევი კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, სხდომაზე დამსწრე წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს, რომელსაც უფლებამოსილება უწყდება სხდომის დასრულებისთანავე.

მუხლი 12. კოლეჯის მიერ ორგანიზებული აპლიკანტთა შერჩევის ფარგლებში წარმოშობილი სააპელაციო კომისიის მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. შერჩევისას წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქნება სააპელაციო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან როგორც კოლეჯის, ასევე პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2. შერჩევისას აპლიკანტს უფლება აქვს მიმართოს სააპელაციო კომისიას მოტივაციური გასაუბრებისათვის გაწერილი კრიტერიუმების, შემოქმედებითი ტურის, შიდა ტესტირების, საბაზო ზოგადი უნარების ტესტირების ფარგლებში შესასრულებელი დავალების შეფასების კომპონენტში, შერჩევის თარიღიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში.

3. სააპელაციო კომისიის მიერ განცხადება (საჩივარი) განხილული უნდა იქნას მისი წარდგენიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში.

4. საპრეტენზიო განცხადებაში უნდა იყოს მკაფიოდ მითითებული პრეტენზიის შინაარსი. წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება არ განიხილება სააპელაციო კომისიის მიერ.

5. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს შერჩევის კომისიის წევრი, რომელიც მონაწილეობას იღებდა აპლიკანტის მოტივაციური გასაუბრების, შემოქმედებითი ტურის, შიდა ტესტირების ან საბაზო ზოგადი უნარების ტესტირების შეფასებაში.

6. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სააპელაციო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

7. სააპელაციო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, სხდომაზე დამსწრე წევრები ირჩევენ სხდომის თავმჯდომარეს, რომელსაც უფლებამოსილება უწყდება სხდომის დასრულებისთანავე.

8. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე წევრები. სააპელაციო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

9. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები აისახება შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმში და შემდგომი რეაგირებისათვის ეგზავნება აპლიკანტთა შესარჩევ კომისიას.